



**თბილისის სააკველაციო სასამართლო
გ ა ნ რ ი ნ ე ბ ა
სამართველოს სახელით**

საჯარო შეტყობინების შესახებ

საქმე №28/1085-11

31 მაისი, 2011 წელი
თბილისი

სამოქალაქო საქმეთა პალატა

მოსამართლე - ქეთევან მისხიშვილი

საქმის განხილვის ფორმა – ზეპირი მოსმენის გარეშე

აპელანტი – გიორგი ჩუბინიძე

წარმომადგენელი – სოფიო სოხაძე, ლია ჭაჭუკაშვილი

მოწინააღმდეგე მხარეები – ნანა ბერაძე, დავით ბერიძე, მაია მენტეშაშვილი, ბორის გეთია, ემა პაპოვიანი, ტარიელ მაცაშვილი, კახაბერ მეტრეველი, თეა სხირტლაძე

გასაჩივრებული გადაწყვეტილება – თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 31 იანვრის გადაწყვეტილება

აპელანტის მოთხოვნა – გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილება

დავის საბანი – უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილობა, საკუთრების უფლების აღდგენა

პალატამ ბ ა მ ო ა რ კ ვ ი ა

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის წარმოებაშია სამოქალაქო საქმე №2ბ/1085-11 აპელანტი – გიორგი ჩუბინიძე, მოწინააღმდეგე მხარეები – ნანა ბერაძე, დავით ბერიძე, მაია მენტემაშვილი, ბორის გეთია, ემა პაპოვიანი, ტარიელ მაყაშვილი, კახაბერ მეტრეველი, თეა სხირტლაძე.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ მხარის ადგილსამყოფელი უცნობია ან მისთვის სასამართლო უწყების ჩაბარება სხვაგვარად ვერ ხერხდება, სასამართლო უფლებამოსილია გამოიტანოს განჩინება სასამართლო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ. სასამართლო შეტყობინება საჯაროდ ვრცელდება შესაბამისი სასამართლოს შენობაში თვალსაჩინო ადგილზე ან ვებგვერდზე განთავსებით ან დაინტერესებული მხარის მოთხოვნის შემთხვევაში – მისივე ხარჯებით იმ გაზეთში, რომელიც მასობრივადაა გავრცელებული მხარის საცხოვრებელი ადგილის შესაბამის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში, ან ინფორმაციის სხვა საშუალებებში გამოქვეყნებით.

ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში, სასამართლო უწყება მხარისათვის ჩაბარებულად ითვლება სასამართლო შეტყობინების შესაბამის სასამართლოს შენობაში თვალსაჩინო ადგილზე ან ვებგვერდზე განთავსებიდან ან გაზეთში ან ინფორმაციის სხვა საშუალებებში გამოქვეყნებიდან მე-7 დღეს.

გიორგი ჩუბინიძის წარმომადგენლების სოფიო სოხაძის და ლია ჭაჭუკაშვილის მიერ წარმოდგენილ სააპელაციო საჩივარში და საქმის მასალებში მოწინააღმდეგე მხარის – ემა პაპოვიანის საცხოვრებელ მისამართად მითითებულია კასპის რაიონი, სოფელი თელადგორი, ხოლო ბორის გეთიას მისამართად – ქ.ზუგდიდი, რუსთაველის 85/23.

აღნიშნულ მისამართებზე თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ გაგზავნილი სასამართლო უწყება და გზავნილი არ ჩაბარდა მოწინააღმდეგე მხარეებს – ემა პაპოვიანსა და ბორის გეთიას. 2011 წლის 11 მაისს სასამართლოში დაბრუნებულ გზავნილის ჩაბარების შესახებ შეტყობინების ბარათებზე ემა პაპოვიანისათვის უწყების ჩაუბარებლობის მიზეზად მითითებულია, რომ აღნიშნულ მისამართზე ემა პაპოვიანი არ ცხოვრობს, რაც შეეხებ ბორის გეთიას, აპელანტის მერ მითითებულ მისამართზე – ქ.ზუგდიდი, რუსთაველის 85/23 უწყება ბინის დამქირავებელმა ჩაიბარა, ხოლო ბორის გეთიას საცხოვრებელ ადგილსამყოფელთან დაკავშირებით განმარტა, რომ ბორის გეთია თბილისში ცხოვრობს.

სააპელაციო პალატა გაეცნო საქმის მასალებს, იმსჯელა საქმის სრულყოფილად, კანონმდებლობით დადგენილ უმოკლეს ვადებში განხილვისა და გაჭიანურების თავიდან აცილების საჭიროებაზე, გაითვალისწინა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე მუხლით განსაზღვრული დანაწესი და მართლზომიერად მიიჩნია, განსახილველ საქმეში მოწინააღმდეგე მხარედ მითითებულ ემა პაპოვიანსა და ბორის გეთიას შეტყობინება სასამართლოს სხდომის გამართვის თარიღის (2011

წლის 28 ივნისი 16:00 საათზე) შესახებ ჩაბარდეს საჯარო შეტყობინების საშუალებით. პროცესი გაიმართება თბილისის სააპელაციო სასამართლოში (თბილისი, გრ. რობაქიძის 7ა) სხდომათა დარბაზ №21-ში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-78-ე, 284-ე, 285-ე და 390-ე მუხლებით და

დ ა ა დ ვ ი ნ ა

1. სასამართლოს სხდომაზე მოწვევა განხორციელდეს საჯარო შეტყობინების ფორმით;
2. სასამართლოს მთავარი სხდომა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატაში დანიშნულია 2011 წლის 28 ივნისს 16:00 საათზე, რომელიც გაიმართება თბილისის სააპელაციო სასამართლოში (მდებარე: ქ. თბილისი გრ. რობაქიძის გამზ. №7ა, სხდომათა დარბაზი №21);
3. 2011 წლის 28 ივნისს 16:00 საათზე დანიშნულ სასამართლოს მთავარ სხდომაზე მოწვეულ იქნენ განსახილველ საქმეში მოწინააღმდეგე მხარედ მითითებული ემა პაპოვიანი და ბორის გეთია;
4. სხდომაზე დასაბარებელი პირები გაფრთხილებულ იქნენ, რომ არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის შემთხვევაში, შესაძლებელია დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა მათ წინააღმდეგ;
5. განჩინებაზე კერძო საჩივრის შეტანა არ დაიშვება.

მოსამართლე

ქეთევან მისხიშვილი